საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და

განვითარების ცენტრს

ამა წლის ივნისის თვეში თქვენს საიტზე გამოქვეყნდა კრიტიკული მასალა, სადაც მიუთითებდით, რომ მაღაზია კარფურში შეძენილ „სანდომის“ ვაფლს და „GEO BACKERS“-ის პეჩენიას ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღენიშნათ სიძველის გემო და ნავთობპროდუქტების არომატი.

ნაცვლად იმისა, რომ ამ კუთხით ჩვენს მიმართ პრეტენზიები არ გამოგეთქვათ და გაგერძელებინათ პროდუქციის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევა და მომხმარებლისთვის მიგეწოდებინათ ობიექტური და კომპეტენტური დასკვნები ჩვენი პროდუქციის ხარისხის შესახებ, თქვენ არჩიეთ გამოგექვეყნებინათ, რბილად რომ ვთქვათ, ტენდენციური და არაკვალიფიკაციური მასალა ჩვენი კომპანიის მაკომპრომენტირებელი აქცენტით, რითაც დაუმსახურებლად შელახეთ ჩვენი საწარმოს იმიჯი.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის, როგორც ხარისხზე ორიენტირებული საწარმოსთვის, წარმოუდგენელი იყო მსგავსი ცილისწამების უპასუხოდ დატოვება და სრული ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის ჩატარება ჩვენ თვითონ დავაფინანსეთ იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხიანობა. მივმართეთ კომპეტენტურ საგამოცდო ლაბორატორიას შპს „ეტალონს“, რომლის დასკვნაც მეტი გარკვეულობისთვის თან დავურთეთ საპასუხო წერილს, სადაც ჩანს, რომ პროდუქტის ქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები შეესაბამება ნორმებს, ანუ ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია ხარისხიანია ცალსახად.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს შემთხვევა იყო შედეგი თქვენი არაკვალიფიკაციურობისა და ასე ვთქვათ, ზერელე დამოკიდებულებისა იმ ამოცანების მიმართ, რომლის დეკლარირებასაც ეწევით: კერძოდ __ ყველა შემთხვევაში მიაწოდოთ მომხმარებელს სარწმუნო ინფორმაცია. ანუ, ჩავთვალეთ, რომ ეს იყო თქვენი შეცდომა და არა მიზანმიმართული ქმედება ჩვენს წინააღმდეგ.თუმცა მალევე ახალი პასქვილის გამოჩენამ თქვენს საიტზე, დაგვარწმუნა, რომ აქ საქმე გვაქვს არა ერთჯერად გადაცდომასთან, არამედ კარგად გამიზნული ცილისმწამებლური კამპანიას დაწყებასთან.

ოქტომბრის თვეში თქვენ, ვითომდა თავიდან გადაამოწმეთ კარფურში ხელახლა შეძენილი „სანდომი ვაფლი“ ახლა უკვე ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დასადგენად, რომელიც, როგორც მიუთითებთ, დასატესტად მიაწოდეთ ლაბორატორია „მულტიტესტს“, რომლის დასკვნაშიც ვითომდა აღმოჩნდა, რომ პროდუქციაში დაფიქსირდა ტყვიის მაღალი შემცველობა __ 2.4 მგ/კგ,ნაცვლად დასაშვები 0.5მგ/კგ -სა.დავიწყოთ იმით, რომ „მულტიტესტს“, როგორც ცნობილია, არ გააჩნია აკრედიტაცია დაადგინოს ტყვიის შემცველობა საკონდიტრო ნაწარმში. თქვენ ამ უხერხულობიდან თავის გამოხსნის მიზნით აცხადებთ, რომ ტყვიის შემცველობა სხვა ლაბორატორიაში გადაამოწმეთ და ამჯერადაც იგი თუმცა ოდნავ ნაკლები, მაგრამ დასაშვებ ნორმაზე მაინც მეტი აღმოჩნდა, კერძოდ _ 0.6მგ/კგ. ჯერ ერთი, თქვენ არ ასახელებთ იმ ლაბორატორიას, სადაც ხელახლა გადაამოწმეთ ჩვენი პროდუქცია ტყვიის შემცველობაზე, და მეორეც, რეალურად „სანდომი ვაფლში“ტყვიის შემცველობა არის არა 0.6მგ/კგ, არამედ 0.06მგ/კგ, ანუ დასაშვებ ნორმაზე ბევრად მცირე, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და რეიტინგული ლაბორატორიის , შპს გ. ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო

ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიის დასკვნა, რომელსაც ჩვენ მივმართეთ თქვენი პასქვილის გამოქვეყნების შემდეგ და მეტი სანდოობისთვის მოვითხოვეთ „სანდომი ვაფლის“ ქიმიური ანალიზი ტყვიის შემცველობაზე . როგორც მოსალოდნელი იყო, ლაბორატორია“ეტალონის“ მსგავსად, ამჯერადაც დადასტურდა, რომ „ვაფლი სანდომი“ არის ხარისხიანი პროდუქცია და მომხმარებლის თვალში სახელის გატეხას არ იმსახურებს.

ამდენად, თქვენი ქმედებები, როგორც იკვეთება ემსახურება არა ობიექტური სიმართლის დადგენის სურვილს და მომხმარემლის სწორად ინფორმირების ამოცანას, არამედ შავი პიარკომპანიას აგორებას წარმატებული და მზარდი ქართული წარმოების წინააღმდეგ. თქვენმა პასქვილებმა უკვე საკმაოდ დააზარალა ჩვენი რეპუტაცია მომხმარებლის თვალში, რომლის გამო ჩვენ გვიხდება თავი ვიმართლოთ იქ, სადაც ყოველთვის ვიყავით და ვართ მართლები_ ჩვენ ვართ ხარისხზე ორიენტირებული, მაღალტექნოლოგიური საწარმო, რომელიც იბრძვის ISO-ს სერტიფიკატის მოპოვებისთვის და რომელიც არ დაუშვებს არანაირ გადაცდომას კეთილსინდისიერი საწარმოს რელსებიდან.

და ბოლოს, გვინდა განვაცხადოთ: ამის შემდეგ, თუ კვლავ გაგრძელდება თქვენი მხრიდან მსგავსი გამოხტომები კომპანიის მიმართ და არ შეწყვეტთ საკონდიტრო „სანდომის“ რეპუტაციის დაუმსახურებელ შელახვას მომხმარებელთა თვალში, იძულებული ვიქნებით აღარ გამოგეპასუხოთ საიტის საშუალებით და სასამართლოში დავიცვათ თავი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ დავას აუცილებლად გადავიტანთ სამართლებრივ სიბრტყეზე.